ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1874793

ნომერი: AR1305015

თარიღი : 27.04.2015

გაცემის თარიღი : 02.06.2015

გაცნობის თარიღი : 05.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 29 , მიმდებარედ , ნაკვეთი 04/203 / ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, შპს"დიოსკურია XXI საუკუნე"-სა და მწვანე ზოლს შორის./ ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო, ხოშარაულის ქუჩა N29./ ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ხოშარაულის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვ. 4/116) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ჩხენკელი პ/ნ 01010003926
- ვაჟა ფშაველას 4კვ., კორ.14, ბ.21

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა განიხილა AR1305015 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ხოშარაულის ქუჩა #29–ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს,კ: N 01.13.05.004.205) საზღვრების კორექტირებას; პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-104 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-2 და მე-3 მუხლების თანახმად, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.

თქვენ მიერ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით მიწის ნაკვეთის, მდებარე ქ. თბილისში, ხოშარაულის ქუჩა #29–ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს,კ: N 01.13.05.004.205) საზღვრების კორექტირება სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია (იხ. დანართი).

კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სამსახურის მიერ შეთანხმებული ესკიზის მიხედვით ცვლილების განხორციელებაზე უნდა მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.